სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის

საკონკურსო დოკუმენტაცია

2011 წელი

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო აცხადებს კონკურს არქიტექტორული და მასთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანს წარმოადგენს სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე 10×18 მ. მსუბუქი კონსტრუქციებით გადახურვის მოწყობასთან დაკავშირებით საუკეთესო ესკიზური პროექტის და ვიზუალის გამოვლენა და შემდგომში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება.

კონკურსანტმა 5 დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს 10×18 მ. მსუბუქი კონსტრუქციებით გადახურვის მოწყობის (შუშა) ესკიზური პროექტი და ვიზუალი.

კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საპეოექტო წინადადების შეფასების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს ვიზუალური მხარე.

გამარჯვებულ კონკურსანტთან დაიდება ხელშეკრულება წარმოდგენილი საპროექტო წინადადების საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ვადაა 5 დღე.

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 9000 ლარი.

3. კონკურსში მონაწილეობის საფასური

3.1 კონკურსში მონაწილე პირი, საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე:

მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის" ცენტრალური ფილიალი
	ბანკის კოდი: 220101757
მიმღები	მიმღები: ს.ს.ი.პ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
	მიმღების ანგარიშის # 10591718543

4.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

4. კონკურსის გამოცხადების თარიღია 2011 წლის 27 აპრილი, კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 2 მაისს 13 საათზე.

5. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, საკონკურსო წინადადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, უნდა წარმოადგინონ 2011 წლის 2 მაისს 13 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კმ. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები.